

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან
არსებული საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და
სერტიფიცირების საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) მულტიდისციპლინური, სათათბირო ორგანო.
2. საბჭო თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე ამ დებულებითა და სხვა სამართლებივი აქტებით.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და დანიშვნის წესი

1. საბჭო შედგება შემდეგი უწყებებისაგან:
 - ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო);
 - ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
 - გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
 - დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
 - ე) სსიპ-საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
 - ვ) სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
 - ზ) სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
 - თ) სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო;
 - ი) რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;
 - კ) სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“;
 - ლ) ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი „პარსა“.
2. საბჭოში მონაწილეობა ეთხოვოს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.
3. საბჭოში შემავალი უწყებები საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნებიან თითო-თითო წარმომადგენლით.
4. საბჭოში შემავალი უწყებების შემადგენლობა შესაძლებელია გადაიხედოს საჭიროებიდან გამომდინარე.
5. სამინისტროს გამოცხადებული კონკურსების შემთხვევაში საბჭოში მონაწილეობა დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის წარმომადგენელს.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები

საბჭოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს კულტურული მარშრუტების სერტიფიცირების პირობების, კრიტერიუმებისა და სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავებასა და განხილვაში მონაწილეობა;

ბ) საბჭოს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, კულტურული მარშრუტების შერჩევა, სერტიფიცირების მიზნით;

გ) სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, კულტურული მარშრუტების სერტიფიცირების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

დ) სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში, კულტურული მარშრუტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემოსული პროექტების/საპროექტო განაცხადების განხილვა და შერჩევა როგორც კონკურსის ასევე არასაკონკურსო გზით;

ე) ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამაში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდისა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარების პროცესებში მონაწილეობა;

ვ) სამინისტროს მიერ წარდგენილი სხვა საკითხების განხილვა.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭოს საქმიანობას წარმართავს თავმჯდომარე (მინისტრის მოადგილე), რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს და მონაწილეობს როგორც საკონკურსო, ისე არასაკონკურსო საპროექტო განაცხადების განხილვა/შეფასებაში;

ბ) განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის სხდომების ჩატარების ფორმატს, დროსა და ადგილს;

გ) აკონტროლებს სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადებას.

2. საბჭოს თავმჯდომარეს ყავს მოადგილე, რომელსაც საბჭოს წევრები ირჩევენ საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით.

3. საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლება-მოვალეობებს დროებით ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, სამინისტროს (კულტურული მარშრუტების სამმართველოს) ინიცირებით.

5. განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ შესაძლოა სხდომაზე მოწვეულ იქნენ შესაბამისი ორგანოების/ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და დარგის სპეციალისტები/ექსპერტები, სათათბირო ხმის უფლებით ან მის გარეშე, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

6. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ახორციელებს საბჭოს მდივანი (კულტურული მარშრუტების სამმართველოს თანამშრომელი) რომელიც:

ა) საბჭოს წევრებს ატყობინებს სხდომების ჩატარების ფორმატს, დროსა და ადგილს;

ბ) საბჭოს წევრებს უზრუნველყოფს საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით;

გ) საბჭოს სხდომამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე, საბჭოს წევრებს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის რეგისტრირებულ საპროექტო განაცხადებს და სერტიფიცირებული მარშრუტების განაცხადებს.

დ) აწარმოებს საბჭოს სხდომების ოქმებს;

ე) ინახავს საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ მასალებს.

7. მინისტრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომის მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 5 . საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების წესი

1. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი მაინც.

2. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

3. საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია საბჭოს წევრს, რომელიც არ ესწრება სხდომას, მოეთხოვოს, საბჭოს წერილობით წარუდგინოს პოზიცია (ხმა) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრი ვალდებულია დააფიქსიროს თავისი პოზიცია (ხმის მიცემით) განხილული საკითხის შესახებ.

5. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს მდივანი და თავმჯდომარე. საბჭოს სხდომის ოქმი, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, სხდომის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათით წარედგინება მინისტრს.

6. საბჭოს სხდომის ელექტრონული საშუალებებით ჩატარების შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია პროექტის/განაცხადის ფორმის შეფასების თაობაზე ხელმოწერილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, წარუდგინოს საბჭოს მდივანს სამსახურებრივ ელ. ფოსტაზე.

7. საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 6. საბჭოს ფუნქციონირების კოორდინაცია და ხელშეწყობა

საბჭოს ფუნქციონირების კოორდინაცია/ხელშეწყობას ახორციელებს სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის კულტურული მარშრუტების სამმართველო.